

ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩა მე-16 შესახვევი N2 საცხოვრებელ სახლზე,  
მოქალაქე ოთარი სალდაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის  
გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა კ.გამსახურდიას ქუჩა მე-16 შესახვევი N2 საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე ოთარი სალდაძის განცხადება /2012 წლის 03.12 Nს-9970/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩა მე-16 შესახვევი N2 საცხოვრებელი სახლი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩა მე-16 შესახვევი N2 საცხოვრებელ სახლზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ოთარი სალდაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩა მე-16 შესახვევი N2 საცხოვრებელ სახლზე /საერთო ფართობი 181,40 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 94,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 87,40 კვ.მ, რომელიც განთავსებულია 3049 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქე ოთარი სალდაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგვიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე